განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საჯარო მმართველობა

საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასება განხორციელდა 2019 წლის 4 ივნისს

დასკვნა წარდგენილია 1 ივლისი 2019 წელი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
განათლების საფეხური	საბაკალავრო (უმაღლესი მე-6)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საჯარო მმართველობის ბაკალავრი 0413
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული N142, ოქმი 14 (01.07.2014).

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ოთარ ქოჩორაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ კაკუტია, შავი ზღვის საერთაშრისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლაშა ანაკიძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 2010 წლიდან, ხოლო პირველი აკრედიტაცია მიენიჭა 2014 წლის 1 ივლისის აკრედიტაციის საბჭოს ოქმი N14, გადაწყვეტილება N142-ის საფუძველზე.

2014 წლის აკრედიტაციის შემდეგ საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა დახვეწისა და განვითარების კუთხით. მოხდა სპეციალობისთვის აუცილებელი სასწავლო კურსების დამატება, მაგალითად: საჯარო ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარება (კოდი PUBL2010), საჯარო სერვისების მენეჯმენტი (კოდი PUBL3000), თანამედროვე პოლიტიკა და ადმინისტრირება საქართველოში (კოდი PUBL1010), საჯარო პოლიტიკის პროცესი (კოდი PUBL1216), კვლევის მეთოდები საჯარო ადმინისტრირებაში (კოდიPUBL2000) და სხვა. ასევე განხორციელდა არჩევითი და სავალდებულო კურსების კორექტირება.

2018 წელს მოპოვა NISPAcee-ის ინსტიტუციური წევრის სტატუსი. სტუდენტთა გამოკითხვების, პროფესორ-მასწავლებელთა აქტიური ჩართულობისა და შრომის ბაზრის ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე 2019 წელს პროგრამამ განიცადა მოდიფიცირება, ძირითადი აქცენტი გაკეთდა საჯარო მმართველობის მენეჯერულ კონტექსტზე, რის შედეგადაც პროგრამაში მთავარი ყურადღება ეთმობა საქართველოში უახლეს და მიმდინარე პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ რეალობას, რეფორმებს, შესაბამისი გამოწვევებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესწავლას.

პროგრამული ცვლილებები განიხილებოდა სკოლის საბჭოს სხდომებზე, აისახებოდა შესაბამის ოქმებში და მტკიცდებოდა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები დეტალურად ასახულია თვითშეფასების ანგარიშში და პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ასევე სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებლებთა სურვილებს, რომლებიც მათ აღნიშნეს ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრისას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 4 ივნისს. ვიზიტამდე, 24 მაისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი ოთარ ქოჩორაძე, თამარ კაკუტია) 17:00 საათიდან 19:00 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მსვლელობისას, ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

4 ივნისს საქართველოს უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში 10:00 საათიდან 19:00 საათამდე მიმდინარეობდა სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შედგა შეხვედრა/გასაუბრება პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან (საჯარო ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი - ნოდარ ხერხეულიძე, ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი - მაია ამაშუკელი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი - ნათია გოლიაძე, ეკონომიკის

დეპარტამენტის უფროსი - გიორგი ლომიძე, ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის მენეჯერი - ხატია დევაძე, საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური - სოსო გოგილიძე, ჯონი მწარიაშვილი, არჩილ ჯანგირაშვილი, ქეთევან გეგიაძე).

უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან (საჯარო ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი - ნოდარ ხერხეულიძე, ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი - მაია ამაშუკელი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი - ნათია გოლიაძე, ეკონომიკის დეპარტამენტის უფროსი - გიორგი ლომიძე, საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური - სოსო გოგილიძე, ჯონი მწარიაშვილი, არჩილ ჯანგირაშვილი, ქეთევან გეგიაძე, ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის მენეჯერი - ხატია დევაძე).

პროგრამის ხელმძღვანელთან - საჯარო ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი - ნოდარ ხერხეულიძე.

აკადემიურ პერსონალთან (ასოცირებული პროფესორი - ჭიჭინაძე რევაზ, პროფესორი - ციცქიშვილი რუსუდან, ასოცირებული პროფესორი - ცომაია აკაკი, ასოცირებული პროფესორი - დავითაია ნინო).

მოწვეულ პერსონალთან (მოწვეული ლექტორები - ტატიშვილი თამარ, ჩხეიძე რევაზ, კუპრაშვილი თინათინ, ხარიბეგაშვილი ანა), სტუდენტებთან (ნინო გუჯეჯიანი, ლია ქობულია, ნინო რურუა, ლაშა ხიზანიშვილი).

დაწესებულების, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან - საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური - სოსო გოგილიძე, ჯონი მწარიაშვილი, არჩილ ჯანგირაშვილი, ქეთევან გეგიაძე, მარიამ სილაგავა, საჯარო ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი - ნოდარ ხერხეულიძე, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი - ნათია გოლიაძე).
სტიდენტებთან, კურსდამთავრებულებთან (ნინო ზაქარაძე, ლილე კვიციანი, დავით ჯობავა, ლაშა ვაშაკიძე, ანა ჭუნაშვილი), დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან.

ვიზიტის ფარგლებში ასევე, განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. კონსტრუქციული დიალოგითა და მსჯელობით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ რომ პირველი სტანდარტი და მისი კომპონენტები შეესაბამება მოთხოვნებს. მეორე სტანდარტი და მისი კომპონენტები შეესაბამება მოთხოვნებს, მესამე სტანდარტი და მისი კომპონენტები შესაბამება შეესაბამება მოთხოვნებს, მეოთხე სტანდარტი მისი კომპონენტები შეესაბამება მოთხოვნებს, მეხუთე სტანდარტი მისი კომპონენტები შეესაბამება მოთხოვნებს.

- **რეკომენდაციები**

არ გვაქვს

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამაში სამიზნე ნიშნულები სწავლის თითეული შედეგისათვის წარმოდგენილია ნარატივის სახით (დამტკიცებულია საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმით N20/18). პროგრამაში არ არის განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები სწავლის თითეული შედეგისათვის. აღნიშნული დოკუმენტი წარმოდგენილია ნარატივის სახით (დამტკიცებულია საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმით N20/18). სასურველია დოკუმენტი გაწერილი იყოს უფრო დეტალურად სადაც სწავლის შედეგების შეფასება წარმოდგენილი იქნება პროგრამის მიმდინარეობისას, ვადების გათვალისწინებით, იმისათვის, რომ უფრო ნათელად იქნას წარმოდგენილი, თუ როგორ მიმდინარეობს აღნიშნული პროცესი.

ვფიქრობთ უპრიანი იქნება ძირითადი საგნები პროცენტულად უფრო დაბალანსებული იყოს იმ რეალობიდან გამომდინარე რა მოთხოვნაც დღეს შრომის ბაზარზე არსებობს. კერძოდ, სამართლის მიმართულება ვფიქრობთ ურფო მეტად წარმომადგენლობითი უნდა იყოს. მაგალითად ისეთი საგნებით, როგორიც არის: ადგლობრივი თვითმართველობის მიმართულება.

ასევე კარგი იქნება წარმოდგენილი იყოს სოციალური პოლიტიკის მიმართულებით, რომელიც არც არჩევით და არც ძირითად საგანთა ბლოკში არ არის წარმოდგენილი. შესაბამისად, კარგი იქნება თუკი ისეთი საგნები როგიც არის სოციოლოგია, სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვისა და განათლების პოლიტიკა.

მენეჯმენტის მიმართულებით, ვფიქრობთ ძალზეც მნიშვნელოვანი საგანია სტრატეგიული მემეჯმენტი, რაც საჯარო მოხელეებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რასაც თავად დაწესებულება მიუთითებს, რომ პრგოგრამა მოიცავს საჯარო ადმინისტრირების სამივე განზომილებას - მენეჯერულ, სამართლებრივ და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ასპექტებს, ფოკუსირებულია საჯარო მმართველობის მენეჯერულ კონტექსტზე და ყურადღება ეთმობა საქართველოში უახლეს და მიმდინარე პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ რეალობას, რეფორმებს, შესაბამისი გამოწვევებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესწავლას, ვფიქრობთ ეს სამი მიმართულება თანაბრად უნდა იყოს წარმოდგენილი პროგრამაში.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პროგრამა საბაკალავროა, და აქ კვლევითი უნარები ნაკლებად უნდა იქნას წარმოდგენილი (რაც უფრო მეტად სამაგისტრო პროგრამისათვის უნდა იყოს განკუთვნილი), ვფიქრობთ კვლევითი მიმართულების სამ საგნად (18 კრედიტად) წარმოდგენას აჯობებდა სამართლის, მენეჯმენტის ან/და სოციალური მიმართულების საკითხები გაძლიერებულიყო.

2015-2018 წლამდე უნივერსიტეტში ჩატარებული არის 35 ღონისძიება საჯარო მიმართულების კუთხით, ამ საკითხთან დაკავშირებით კარგი იქნებოდა თუ ეს რაოდენობა გაიზრდება, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების განვითარებას.

პროგრამის მდგრადობისათვის სასურველია, მნიშნველოვანი ღონისძიებები განხორციელდეს აკადემიური პერსონალის მოზიდვის მიზნით, რათა პროგრამა გაძლიერდეს საკუთრივ საჯარო სექტორში არსებული აკადემიური პერსონალითა და პრაქტიკოსი პედაგოგებით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

საინტერესოა, რომ სტუდენტებს შუძლიათ ბიბლიოთეკაში ფიზიკურად გამოცხადების გარეშე სახელმძღვანელოების ონლიაინ მოძიება და უზრუნველყოფილია მათზე ონლაინ წვდომა.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

აღსანიშნავია, რომ ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა (UGBAS), რომლის ფარგლებშიც ხორციელდება საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა არის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მენეჯმენტის განვითარების ასოციაციის (Central and East Europena Management Development Association - CEEMAN) ინსტიტუციური წევრი საერთაშოისო აკრედიტაციის მიმართულებით. CEEMAN აერთიანებს მენეჯმენტისა და მმართველობის სკოლებს მსოფლიოს 54 ქვეყნიდან. შესაბამისად, მენეჯმენტის მიმართულებით პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი პერიოდულად ესწრება, ადმინისტრაციის განცხადებით, საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციებს. მათ შორის: Program Management Seminar, რომელიც პროგრამის შემუშავებაში და მის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისკენ არის მიმართული.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან (ცოდნის წარმოება და პიროვნების განათლება), ნათლად არის ჩამოყალიბებული და ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე, რაზეც თვალნათლივ მეტყველებს შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში, ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მიზანია პატიოსანი შრომით, წარმატების მისაღწევად საჭირო ცოდნითა და უნარებით შეიარაღებული დემოკრატიული აზროვნების, კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, დასაქმების ბაზარზე არსებული მოთხოვნის გათვალისწინება და საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას. პროგრამის სასწავლო კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია სწავლის შემდეგ საფეხურზე - მაგისტრატურაში. პროგრამის მიზანი რეალურია, ვინაიდან უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ გასაუბრება პროგრამის კოორდინატორთან; ✓ გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ✓ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა; ✓ საქართველოს უნივერსიტეტის მისია; ✓ საქართველოს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი (2014-2020 წწ) სამოქმედო გეგმა.
რეკომენდაციები: არ გვაქვს ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კომპონენტები წარმოდგენილია სავალდებულო (162 კრედიტი) და არჩევითი (72 კრედიტი) სასწავლო კურსების სილაბუსების სახით, სადაც მოცემულია ცალკეული სასწავლო კურსების შინაარსი და მათი სწავლების მეთოდები.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია, შეესაბამება საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის მიზნებს, კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, შრომითი ბაზრის მოთხოვნებს, დარგის სპეციფიკას. ასევე შესაბამისობაშია კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროს მოთხოვნებთან და სურვილის შემთხვევაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას იძლევა განათლების შემდეგ საფეხურებზე - მაგისტრატურაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგებში აღწერილია როგორც ცოდნა/გაცნობიერების, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, სწავლის და კომუნიკაციის უნარები, ისე ღირებულებები, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის ათვისების პერიოდში.

ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ ხდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ორი მიმართულებით: პირველი - ხდება სწავლის შედეგების გადახედვა/გადამოწმება შრომის ბაზრის კვლევასა და ლექტორებთან/პრაქტიკოსებთან კონსულტაციებზე დაყრდნობით. მეორეს - მოწმდება სწავლის შედეგების მიღწევადობა, რაც გულისხმობს თითოეული სავალდებულო კურსის ფარგლებში კურსის დასრულების შემდგომ შედეგების დამუშავებას.

სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში ხდება სწავლის შედეგების დამუშავება და ანალიზი, რაც შემდგომ გამოიყენება როგორც ინდივიდუალური სასწავლო კურსის გასაუმჯობესებლად, ასევე პროგრამის შედეგების დასახვეწად.

უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ ხარისხის უწყვეტი სრულყოფის დოკუმენტში, განსაზღვრულია პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართვის შემდეგი მექანიზმი: პროგრამის შემუშავების/ცვლილებების პროცესში ხორციელდება კონსულტაციები და დაინტერესებული მხარეების (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სფეროს წარმომადგენლები და პრაქტიკოსები) მოსაზრებებისა და შრომის ბაზრის კვლევა, რის საფუძველზეც პროგრამის შემუშავების პროცესში ხდება შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება.

ზემოაღნიშნული მექანიზმების გამოყენებით, მოპოვებული მონაცემებისა და პროგრამაში ჩართულ პირებთან კონსულტაციების საფუძველზე განხორციელდა საჯარო მმართველობის პროგრამის საბაკალავრო პროგრამის დახვეწა და გაუმჯობესება. ასევე უნდ აღინიშნოს, რომ პროგრამაში განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები სწავლის თითეული შედეგისათვის წარმოდგენილია ნარატივის სახით (დამტკიცებულია საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმით N20/18).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა;
- ✓ ანალოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზი;
- ✓ შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში;
- ✓ კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში;
- ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო შეხვედრის ანგარიში;
- ✓ სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება;
- ✓ პროგრამის შედეგების მატრიცა;
- ✓ პროგრამული ცვლილებების ოქმი;
- ✓ ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების ინსტრუქცია.

რეკომენდაციები: არ გვაქვს

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამაში განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები სწავლის თითეული შედეგისათვის წარმოდგენილია ნარატივის სახით (დამტკიცებულია საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმით N20/18). სასურველია სამიზნე ნიშნულების დოკუმენტი გაწერილი იყოს უფრო დეტალურად სადაც სწავლის შედეგების შეფასება წარმოდგენილი იქნება პროგრამის მიმდინარეობისას, ვადების გათვალისწინებით,

იმისათვის, რომ უფრო ნათელად იქნას წარმოდგენილი, თუ როგორ მიმდინარეობს აღნიშნული პროცესი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☑			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაზე, აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და დირექტორის ბრძანების საფუძველზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას, სამართლიანი, გამჭვირვალე და საჯარო პროცედურების მეოხებით, რომლებიც შეესაბამებიან მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა გამჭვირვალეა, მათ შესახებ სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია აბიტურიენტისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან www.ug.edu.ge პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა ✓ ვებ გვერდზე არსებული ინფორმაცია (www.ug.edu.ge;) ✓ საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება
რეკომენდაციები: არ გვაქვს წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტში შემუშავებული "ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია", რომლის რეალიზება ხელს უწყობს განვითარების არსებული ეტაპის დადგენას და განვითარების სტრატეგიის განსაზღვრას, მიზანიად ისახავს სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფასა და გაუმჯობესებას, ხოლო ამ სტრატეგიული მიზნის ქვაკუთხედს კი წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და მართვაში დაინტერესებული პირების ჩართულობა.

დასახული მიზნების განხორციელებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და ცვლილებების განხორციელების შემდეგ მექანიზმებს: 1) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მექანიზმი, რომელიც მოიცავს პროგრამის ინიცირების, შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამსახურების, პროგრამაზე მუშაობის პროცესში ჩართული პირებისა და პროგრამის დამტკიცებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას და 2) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების უწყვეტი სრულყოფის მექანიზმი, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს პროგრამის პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მექანიზმებს.

პროგრამის შედეგების პირდაპირი შეფასება გულისხმობს სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული კურსების სწავლის შედეგების მიღწევის შემოწმებას, რათა მოხდეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის დონის გაზომვა. მიღებული შედეგების საშუალებით, პროგრამის სწავლის შედეგების კომპეტენციების დახვეწა/მოდიფიცირება.

პროგრამის შედეგების არაპირდაპირი შეფასება გულისხმობს სტუდენტის და დაინტრერესებული პირების დამოკიდებულებას სასწავლო პროცესების და პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებაში. პროგრამის შეფასების არაპირდაპირი მეთოდი დაინტერესებულ პირებს აძლევს შესაძლებლობას შეაფასოს პროგრამის ეფექტურობა თავიანთი გამოცდილებიდან და პერსპექტივიდან გამომდინარე.

საქართველოს უნივერსიტეტის სკოლების აკადემიური საბჭო ქმნის პროგრამის განვითარების საბჭოს, რომლიც ამოცანები და ფუნქციები გაწერილია ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციაში.

გარდა აღნიშნულისა, ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლას შემუშავებული აქვს პირდაპირი და არაპირდაპირი ხარისხის შეფასების ინსტრუქცია, რომელშიც დამატებით ასახულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და ამ პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის და კვლევის მექანიზმები. აღნიშნული მოიცავს პროგრამის ხარისხის კვლევას როგორც მისი დაგეგმვის, ასევე განვითარების ეტაპზე კურსდამთავრებულების, შრომის ბაზრის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევისა და ასევე ანალოგიური პროგრამების შედარებით ანალიზის საფუძველზე.

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის კურსების ერთობლიობა და მათი ლოგიკური თანმიმდევრობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და შესაბამისად აკმაყოფილებს პროგრამის მიზანს, რომელიც ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე. პროგრამის მიზნები და შედეგები შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველი საფეხურის აღმწერთან.

პროგრამის და შინაარსის და ლოგიკური თანმიმდევრობის გათვალისწინებით განსაზღვრულია პროგამაში შემავალ თითოეულ კურსზე დაშვები წინაპირობა და/ან რეკომენდებული სემესტრი. შემავალი ცალკეული კომპონენტი ითვალისწინებს კურსზე დაშების წინაპირობას. საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს საგნების თანმიმდევრულ მიწოდებას შინაარსისა და სირთულის მიხედვით, რაც თავის მხრივ განაპირობებს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას.

სწავლების საწყის ეტაპზე (პირველი აკადემიური წელი) პროგრამით გათვალისწინებულია ისეთი ძირითადი კურსების მიწოდება, რომლებიც ემსახურება ზოგადი ცოდნის მიღებასა და უნარ-ჩვევების გამომუშავებას. პირველი (I) კურსის განმავლობაში სტუდენტები შეისწავლიან საჯარო ადმინისტრირების საფუძვლებს, გაივლიან პოლიტიკის, სამართლის, ეკონომიკის, ბიზნესისა და მენეჯმენტის შესავალ კურსებს, რაც მომავალ საფეხურზე საჯარო ადმინისტრირების მულტიდისციპლინარული სფეროს თეორიული მასალის უკეთ ათვისებაში დაეხმარებათ. სწავლის ამ ეტაპზე სტუდენტები ეზიარებიან დემოკრატიული, ადმინისტრაციული და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას, ასევე შეისწავლიან მენეჯმენტის, ეკონომიკის, ბიზნესის და სამართლის საფუძვლებს, რაც საჯარო ადმინისტრირების პოლიტიკურ-სოციალური, სამართლებრივი და მმართველობითი კონტექსტის, ასევე სახელმწიფო და ბიზნეს სექტორის ურთიერთქმედების გააზრებას შეუწყობს ხელს. პირველ კურსზე სტუდენტები ასევე გაივლიან კურსები, რომლებიც ზოგადი ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზეა ორიენტირებული, მაგალითად საოფისე კომპიუტერული პროგრამები, რაოდენობრივი კვლევის მეთოდების საფუძვლები და ცივილიზაციები და კაცობრიობის განვითარება.

მეორე აკადემიური წლის განმავლობაში პროგრამა ორიენტირებულია ისეთი დარგობრივი საგნების მიწოდებაზე, რომლებიც სტუდენტებს უფრო ფართოდ დაანახებს საჯარო

ადმინისტრირების სპეციალობის თავისებურებებს და განუვითარებს პროფესიულ აზროვნებას. აღნიშნულ ეტაპზე სტუდენტები შეისწავლიან სახელმწიფო მოწყობის სამართლასა და ზოგად ადმინისტრაციულ სამართალს, მიკროეკონომიკურ და მაკროეკონომიკურ კანონზომიერებებს, თანამედროვე პოლიტიკისა ადმინისტრირების თავისებურებებს, რაც მათი პროფესიული იდენტობის ჩამოყალიბებასა და პროფესიული ინტერესების გამოკვეთას შეუყობს ხელს. მეორე კურსის მეორე ნახევარში სტუდენტები ასევე გაიღრმავებენ ცოდნას საქმიანი ურთიერთობების წარმოების, მენეჯმენტისა და საჯარო სექტორში ადმინისტრაციული ლიდერობისა მიმართულებით და გაივლიან სტატისტიკური ანალიზის მეთოებს, რაც მნიშვნელოვანია როგორც სწავლის შემდგომ ეტაპზე კომპლექსური მასალის ათვისებისათვის, ასევე საჯარო ადმინისტრირების სფეროში სტატისტიკური მონაცემების აღქმისა და გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის.
საგნების ზემოაღნიშნული თანმიმდევრობა სწავლების შემდგომ ეტაპზე უფრო სპეციფიკური და კომპლექსური ხასიათის საგნების მიწოდების საშუალებას იძლევა.
სწავლის მესამე (III) წელს სტუდენტები შეისწავლიან ფინანსური აღრიცხვის, სახელმწიფოს ფინანსური და საგადასახადო პოლიტიკის ასპექტებსა დასაჯარო პოლიტიკის ანალიზის მეთოდოლოგიებს. აღნიშნულ სემესტრში პროგრამით ასევე გათვალისწინებულია სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თავისებურებების, ასევე საჯარო ორგანიზაციის მართვისა და განვითარების თავისებურებების შესწავლა.
საბაკალავრო სწავლების ბოლო ეტაპზე (IV კურსი) პროგრამით გათვალისწინებულია საჯარო ადმინისტრირებაში კვლევის მეთოდებისა და საჯარო სერვისების მენეჯმენტისა და განვითარების პროცესების შესწავლა. სწავლის ამ ეტაპზე სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გაიღრმავონ ან შეიძინონ ახალი ცოდნა და კომპეტენციები თავიანთი ინტერესის გათვალისწინებით დარგობრივი არჩევითი კურსების ფართო არეალის საშუალებით. აქვე აღსანიშნავია, რომ არჩევითი საგნები სტუდენტებს მესამე კურსიდან მიეწოდებათ, თუმცა არჩევანის საშუალება იზრდება სწავლის ბოლო წელს და სტუდენტებს საშუალება აქვთ ფართო არეალიდან აირჩიონ საგნები სწავლის პროცესში გამოკვეთილი პროფესიული ინტერესის შესაბამისად.
პროგრამის ლოგიკური თანმიმდევრობა და სტრუქტურა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულებისათვის პროგრამით გათვალისწინებული შედეგებისა და კომპეტენციების ეტაპობრივ გამომუშავებას. პროგრამის ყოველი კურსის სილაბუსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველი საფეხურის აღმწერთან. კურსების ერთობლიობა შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების მიღწევას. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების განვითარებისას გათვალისწინებული იყო აკრედიტაციის რეკომენდაციები.
ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი. 162 კრედიტის შესაბამის საგნებს სტუდენტი გაივლის პროგრამის ძირითადი საგნების ფარგლებში, ხოლო დანარჩენი 72 კრედიტის აღების საშუალება აქვს არჩევითი საგნების მრავალფეროვანი ბლოკიდან, რომელიც შეადგენს 312 კრედიტს. პროგრამის ფარგლებში ასევე შესაძლებელია 12 კრედიტის გამოყენება თავისუფალი კრედიტების სახით.
პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის ბაკალავრი, რაც შეესაბამება უმაღლესი განათლების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს.
თითოეული სასწავლო კომპონენტის კრედიტების მოცულობა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებულ უმაღლესი

საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის დატვირთვა ფასდება კრედიტებით. საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციით რომელიც 1 ECTS უტოლდება 25 ასტრონომიულ საათს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა; ✓ ანალოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზი; ✓ შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში; ✓ კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში; ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო შეხვედრის ანგარიში; ✓ სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება; ✓ პროგრამის შედეგების მატრიცა; ✓ პროგრამული ცვლილებების ოქმი; ✓ ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების ინსტრუქცია.
რეკომენდაციები: არ გვაქვს წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ვფიქრობთ უპრიანი იქნება ძირითადი საგნები პროცენტულად უფრო დაბალანსებული იყოს იმ რეალობიდან გამომდინარე რა მოთხოვნაც დღეს შრომის ბაზარზე არსებობს. კერძოდ, სამართლის მიმართულება ვფიქრობთ ურფო მეტად წარმომადგენლობითი უნდა იყოს. მაგალითად ისეთი საგნებით, როგორიც არის: ადგლობრივი თვითმართველობის მიმართულება. ასევე კარგი იქნება წარმოდგენილი იყოს სოციალური პოლიტიკის მიმართულებით, რომელიც არც არჩევით და არც ძირითად საგანთა ბლოკში არ არის წარმოდგენილი. შესაბამისად, კარგი იქნება თუკი ისეთი საგნები როგიც არის სოციოლოგია, სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვისა და განათლების პოლიტიკა. მენეჯმენტის მიმართულებით, ვფიქრობთ ძალზეც მნიშვნელოვანი საგანია სტრატეგიული მემეჯმენტი, რაც საჯარო მოხელეებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რასაც თავად დაწესებულება მიუთითებს, რომ პრგოგრამა მოიცავს საჯარო ადმინისტრირების სამივე განზომილებას - მენეჯერულ, სამართლებრივ და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ასპექტებს, ფოკუსირებულია საჯარო მმართველობის მენეჯერულ კონტექსტზე და ყურადღება ეთმობა საქართველოში უახლეს და მიმდინარე პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ რეალობას, რეფორმებს, შესაბამისი გამოწვევებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესწავლას, ვფიქრობთ ეს სამი მიმართულება თანაბრად უნდა იყოს წარმოდგენილი პროგრამაში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პროგრამა საბაკალავროა, და აქ კვლევითი უნარები ნაკლებად უნდა იქნას წარმოდგენილი (რაც უფრო მეტად სამაგისტრო პროგრამისათვის უნდა იყოს განკუთვნილი), ვფიქრობთ კვლევითი მიმართულების სამ საგნად (18 კრედიტად) წარმოდგენას აჯობებდა სამართლის, მენეჯმენტის ან/და სოციალური მიმართულების საკითხები გაძლიერებულიყო.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის შემადგენელი კომპონენტები განაწილებულია სემესტრულად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, რომელშიც შესავალი კომპონენტები შეთავაზებულია პროგრამის საწყის ეტაპზე, ხოლო რთული, კომპლექსური ხასიათის კომპონენტები - მომდევნო ეტაპებზე. პროგრამა მოიცავს 162 კრედიტის ძირითად საგნებს, რომელთა სწავლის შედეგებიც სრულად აკმაყოფილებს პროგრამის შედეგებს და დასტურდება შედეგების მატრიცით. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ კურსისთვის მინიჭებული კრედიტების მოცულობას და სტუდენტის დატვირთვის განაწილება ასახულია სილაბუსში საათობრივ დატვირთვაში. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მიღწევადია არსებული დატვირთვის ფარგლებში და დადასტურებულია აკადემიური პერსონალის და სტუდენტების კვლევით. სასწავლო მასალები დაფუძნებულია უახლეს სამეცნიერო კვლევებსა და მიღწევებზე. სახელმძღვანელო ლიტერატურა, მათ შორის Pearson-ის, McGraw.Hill-ის მასალები ხელმისაწვდომია საქართველოს უნივერსიტეტის ყველა სტუდენტისა და პროფესორ-მასწავლებლისთვის და განთავსებულია ბიბლიოთეკაში. “ჩემი UG” საშუალებით

სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შეუძლიათ ელექტრონულად შეუკვეთონ საჭირო მასალა საბიბლიოთეკო ფონდიდან. პერიოდულად ახლდება სასწავლო მასალები უახლესი ლიტერატურით. გამოყენებულია ელექტრონული სასწავლო მასალებიც. ტარდება კვლევა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული სასწავლო მასალების შესაფასებლად. სასწავლო მასალებით კმაყოფილების დასადგენად ტარდება აკადემიური პერსონალის, პროგრამაში ჩართული სტუდენტების გამოკითხვა. კვლევამ გამოავლინა, რომ სასწავლო ლიტერატურა არის თანამედროვე და იძლევა პროგრამის და სპეციალობების შედეგებზე გასვლის შესაძლებლობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ შესაბამისი კომპონენტების სილაბუსები; ✓ წინაპირობების მატრიცა; ✓ პროგრამის შედეგების მატრიცა; ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო შეხვედრის ანგარიში; ✓ სტუდენტების კვლევის ანგარიში; ✓ ბიბლიოთეკის დებულება; ✓ სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულებაცებულებები/ინდიკატორები. კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.
რეკომენდაციები: არ გვაქვს წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენთა კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციასთან.

სკოლის ფარგლებში, სამეცნიერო თუ გამოყენებითი კვლევების მიმართულებით გააქტიურების მიზნით 2019 წლიდან ამოქმედდა ადმინისტრაციულ მეცნიერებათა კვლევის ცენტრი (Research Center for Administrative Sciences - RCAS), რომლის ძირითადი ამოცანა საჯარო მმართველობის და ზოგადი მენეჯმენტის მიმართულებით ადმინისტრაციული და გამოყენებითი კვლევების წარმოება, სტუდენტების კვლევით დაინტერესება და მათი მაქსიმალური ჩართულობის წახალისებაა.

ცენტრის შექმნის ინიციატივას საუძვლად დაედო სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან მიღწეული შეთანხმება ადმინისტრაციული მეცნიერებების მიმართულებით პრაქტიკული დანიშნულების კვლევებში სტუდენტების ჩართვის, ტრენინგების ჩატარების, ქოუჩინგის, მცირებიუჯეტიანი კვლევების წარმოებისა და სტუდენტების კვლევითი საქმიანობისადმი ინტერესის ამაღლების შესახებ.

ცენტრის პირველი პროექტის „საჯარო მმართველობის მიმართულებით სასწავლო ქეისების შემუშავება“ ფარგლებში საჯარო მმართველობის პროგრამის ექვსი სტუდენტი ჩართულია საჯარო ადმინისტრირების შემთხვევის ანალიზისა და მის საფუძველზე სასწავლო ქეისის შემუშავების პროცესში, რომელიც 2015 წლის 13 ივნისს თბილისში განვითარებულ მოვლენებს ეხება.

ასევე ადმინისტრაციულ მეცნიერებათა კვლევითი ცენტრის (RCAS) ფარგლებში ორი სტუდენტი მუშაობდა საველე სამუშაოებზე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის (Action Against Hunger) ხელმძღვანელობით, რასაც წინ უძროდა შესაბამისი ტრენინგი საველე სამუშაოების განსახორციელებლად პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით.

დარგში არსებული უახლესი საკითხების შესახებ ცოდნის გაღრმავებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით უნივერსიტეტში რეგულარულად ტარდება სემინარები და ვორქშოფები, რომლის ფარგლებშიც მოწვეული სტუმრები განიხილავენ სხვადასხვა სფეროში მიმდინარე, აქტუალურ და სტუდენტებისთვის საინტერესო საკითხებს. სემინარების რეგულაურ ჩატარებას უზრუნველყოფს როგორც საქართველოს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ასევე სტუდენტური კლუბები. აღნიშნული ტიპის აქტივობები უაღრესად მნიშვნელოვანია სტუდენტებისათვის ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით.

უნივერსიტეტის ბაზაზე არსებობს მულტიფუნქციური სივრცე „Startup factory“, რომელიც უზრუნველყოფს იდეების წახალისებას სოციალური მეწარმეობისა თუ ბიზნესის კუთხით. აგრეთვე, Startup Factory ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებთა სკოლასთან ერთად ახორციელებს სპიკერების მოწვევას და სემინარების ორგანიზებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარების მიზნით პროგრამაში გათვალისწინებულია ძირითადი კურსი კურსი „კვლევის მეთოდები საჯარო ადმინისტრირებაში“, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს უვითარდებათ საჯარო ადმინისტრირებბის სფეროში კვლევის პრაქტიკულად

განხორციელების უნარი. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის ასარჩევი საგნების ბლოკი ასევე ითვალისწინებს „საბაკალავრო კვლევით ნაშრომს საჯარო ადმინისტრირებაში“.
საქართველოს უნივერსიტეტში პერიოდულად იმართება სტუდენტური კონფერეციები. აღნიშნულში მონაწილეობისას სტუდენტებს შეუძლიათ წარადგინონ ინდივიდუალური სასწავლო კურსის ფარგლებში მომზადებული მცირე კვლევითი რეფერატები, რაც ხელს უწყობს სამეცნიერო და კვლევითი უნარების გამომუშავებას.
საქართველოს უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტებს შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. სტუდენტებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ სტუდენტური კლუბები, მოამზადონ მათი იდეების შესაბამისი პროექტი და მიიღონ ფინანსური მხარდაჭერა სოციალური და ბიზნეს წამოწყების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ მემორანდუმები;
- ✓ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა კვლევითი ცენტრის დებულება;
- ✓ სტუდენტური კლუბების და სერვისების ცენტრის დებულება;
- ✓ ინფორმაცია სტუდენტურ კონფერენციებთან, პროექტებთან, სემინარებთან დაკავშირებით.

რეკომენდაციები: არ გვაქვს

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის კომპონენტებში არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს, მოცემული კურსის შინაარსს და ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევაზე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები განსაზღვრულია საგნის კურატორის მიერ და ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში: დემონსტრირების მეთოდი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია, რომლებიც შეესაბამება სასწავლო კურსის მისაღწევ შედეგებს. საგნის კურატორების მიერ სათანადოდ შერჩეული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფენ, როგორც პროგრამის კონკრეტული კომპონენტის, ისე მთელი პროგრამის შედეგების მიღწევას. მათი ერთობლიობა კი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. საბაკალავრო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. სწავლების მეთოდების განვითარების კუთხით საქართველოს უნივერსიტეტი ჩართულია შემდეგ მიმდინარე პროექტებში: Modern Competences of Academic Teachers - the Key to Modern HEI (MOCAT) - ითვალისწინებს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადებას, სწავლების თანამედროვე მეთოდების სახელმძღვანელოს შექმას, შესაბამისი ვიდეო ლექციების მომზადებას და ცოდნის გავრცელებას. Erasmus+ პროექტი Sustainable learner-centred Teaching - Advanced Recourse for Georgia and China (STAR), რომლის მიზანიცაა პროფესორ-მასწავლებლებისთვის ინოვაციური სასწავლო მიღწევების გაცნობა, რომელიც შეეხება სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას უნივერსიტეტებში. პროექტის ფარგლებში, შეიქმნა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სახელმძღვანელო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ✓ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა; ✓ შესაბამისი კომპონენტების სილაბუსები; ✓ სწავლების მეთოდების სახელმძღვანელო; ✓ სტუდენტების კვლევის ანგარიში; ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო შეხვედრის ანგარიში.
რეკომენდაციები: არ გვაქვს წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს. მოქმედებს 100 ქულიანი შეფასების სისტემა. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობას, სანდოობას, ვალიდურობას და გამჭვირვალობას. სტუდენტთა შეფასება მრავალკომპონენტიანია და უზრუნველყოფდეს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. საქართველოში მოქმედი ზოგადი შეფასების სისტემა, პროგრამაში ჩაშლილია საუნივერსიტეტო შეფასების შემდეგი სახის სისტემად, სადაც ქულები გადანაწილებულია და განისაზღვრება ამგვარად: (A+) ფრიადი - შეფასების 97-100 ქულა, (GPA) 4,00; (A) ფრიადი - შეფასების 94-96 ქულა, (GPA) 3,75; (A-) ფრიადი - შეფასების 91-93 ქულა, (GPA) 3,50;

(B+) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 87-90 ქულა; (GPA) 3,25;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 84-86 ქულა; (GPA) 3,00;
(B -)ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-83 ქულა; (GPA) 2,75;
(C+) კარგი - მაქსიმალური შეფასების 77-80 ქულა; (GPA) 2,50;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 74-76 ქულა; (GPA) 2,225;
(C-) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-73 ქულა; (GPA) 2,00;
(D+) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 67-70 ქულა; (GPA) 1,75;
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 64-66 ქულა; (GPA) 1,50;
(D-) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-63 ქულა; (GPA) 1,25;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; GPA) 1,00
